

დამტკიცებულია
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
გენერალური დირექტორის 2009წ. 5 ოქტომბრის
№ 64 ბრძანებით

შეთანხმებულია
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოსთან 2009წ. 5 ოქტომბრის
№ 151 გადაწყვეტილებით (ოქმი № 131)

დებულება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009წ. 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" გათვალისწინებული საჩივრების განხილვის წესის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მიზანი

1. წინამდებარე დებულების მიზანია განსაზღვროს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" (შემდგომში – "მაუწყებელი") მიერ "მაუწყებლობის შესახებ" კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევებზე, აგრეთვე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" (შემდგომში – "ქცევის კოდექსი") მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების (სააპელაციო საჩივრების) განხილვის პროცედურები და წესი.
2. მაუწყებელი ვალდებულია 1-ელ პუნქტში აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და "მაუწყებლობის შესახებ" კანონის შესაბამისად უზრუნველყოს მათი განხილვის გამჭვირვალე პროცესი.

თავი II. წარმოება საჩივართან დაკავშირებით

მუხლი 2. საჩივრის განხილვა

1. საჩივარი მიღებულად ითვლება, თუ ის შეტანილი იქნა მაუწყებლის კანცელარიაში უშუალოდ დაინტერესებული პირის, ან მისი წარმომადგენლის მიერ ან დაინტერესებული პირის მიერ გამოგზავნილია ფოსტის მეშვეობით.
2. დაინტერესებული პირის მიერ საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს ქცევის კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილი წესით წარდგენილ განცხადებაზე მაუწყებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. განცხადების განხილვის შემთხვევაში გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.
3. დაინტერესებული პირია ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია მაუწყებლის პროგრამაში ან წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილებაში.
4. კანცელარია ვალდებულია რეგისტრაციაში გაატაროს საჩივარი მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

მუხლი 3. საჩივრის შინაარსი

1. საჩივარში უნდა აღინიშნოს:
 - საჩივრის წარმდგენი პირის, მისი წარმომადგენლის (თუ საჩივარს ხელს აწერს წარმომადგენელი) ვინაობა (სახელწოდება), მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი;
 - საჩივრის მოთხოვნა;
 - ფაქტები, გარემოებები და/ან სამართლებრივი საფუძვლები, რასაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა;
 - თანდართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 4. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა

1. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის სახელით საჩივარი წარდგენილია სხვა პირის მიერ, მაუწყებელი ვალდებულია ამ უკანასკნელს მოსთხოვოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.
2. თუ საჩივარს არ ერთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი ან შესაბამისი დოკუმენტები, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად ან საჩივრის შინაარსი არ შეესაბამება წინამდებარე დებულების მე-3 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, მაუწყებელი განსაზღვრავს ვადას აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არა უმეტეს 10 დღით, თუ ის გაშვებული იქნა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, მაუწყებლის მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით და დაინტერესებული პირი წარმოადგენს აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს.
3. საჩივრის განხილვის ვადის დინება განახლდება ხარვეზის გამოსწორებისთანავე.
4. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი წარდგენილი იქნება წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვადის დარღვევით ან მაუწყებლის მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, მაუწყებელი უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს საჩივარი.

მუხლი 5. საჩივრის განხილვა

1. საჩივარი განხილული უნდა იქნეს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 21 დღის ვადაში.
2. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების დასადგენად ან საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, მაუწყებელს უფლება აქვს გააგრძელოს აღნიშნული ვადა. ასეთ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და ამის შესახებ აცნობოს ყველა დაინტერესებულ პირს.
3. საჩივრის განხილვას აწარმოებს მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი კომისია 3-5 კაცის შემადგენლობით.

4. საჩივრის განხილვისას მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დასწრება.
5. საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე მაუწყებელი მოისმენს დაინტერესებული მხარის პოზიციას, გამოიკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მუხლი 6. გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე

1. საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.
2. საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მაუწყებლის გენერალური დირექტორი წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული კომისიის დასკვნის საფუძველზე.
3. საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესის შესაბამისად უნდა გაეგზავნოს ყველა დაინტერესებულ პირს.

თავი III. აპელაცია

მუხლი 7. სააპელაციო ორგანო

1. დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას აპელაციის წესით.
2. მაუწყებლის სააპელაციო ორგანოს წარმოადგენს მაუწყებლის სამეურვეო საბჭო (შემდგომში – “სააპელაციო ორგანო”).

მუხლი 8. სააპელაციო საჩივრის შინაარსი

1. სააპელაციო საჩივარში უნდა აღინიშნოს:
 - საჩივრის წარმდგენი პირის, მისი წარმომადგენლის (თუ საჩივარს ხელს აწერს წარმომადგენელი) ვინაობა (სახელწოდება), მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი;
 - გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება;
 - საჩივრის მოთხოვნა;
 - ფაქტები, გარემოებები და/ან სამართლებრივი საფუძვლები, რასაც ეუუძნება საჩივრის მოთხოვნა;
 - თანდართული საბუთების ნუსხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 9. სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა

სააპელაციო საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს საჩივრის თაობაზე გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

მუხლი 10. სააპელაციო საჩივრის განხილვა

1. სააპელაციო ორგანო უფლებამოსილია უარი თქვას სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს მაუწყებლის გადაწყვეტილება საჩივარზე, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო მაუწყებლის გადაწყვეტილება დასაბუთებული.
2. სააპელაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში გამოიყენება ამ დებულების II თავით დადგენილი წესები.

მუხლი 11. სააპელაციო ორგანოს წევრის აცილება

სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების წესი განისაზღვრება ქვეყნის კოდექსის მე-10 მუხლით.

მუხლი 12. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება

1. სააპელაციო ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება 30 დღის ვადაში.
2. თუ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია 30 დღეზე მეტი ვადა, სააპელაციო ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე და აცნობოს ამის შესახებ ყველა დაინტერესებულ პირს.
3. სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული.
4. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ პირს.
5. სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით საჩივრდება "მაუწყებლობის შესახებ" კანონის 59¹-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. საჯარო შეტყობინება

1. საჩივრის (სააპელაციო საჩივრის) განხილვისას იმ დაინტერესებული პირების დასწრების ან აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების იმ დაინტერესებული პირებისათვის გადაცემის უზრუნველსაყოფად, რომელთა ადგილსამყოფელი (მისამართი) მაუწყებლისთვის უცნობია, ინფორმაცია საჩივრის (სააპელაციო საჩივრის) შემოტანის შესახებ და ამასთან დაკავშირებით მაუწყებლის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება განთავსდება მაუწყებლის ვებ-გვერდზე.
2. სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ან მაუწყებლის (სააპელაციო ორგანოს) გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნული დაინტერესებული პირებისათვის გადაცემულად ითვლება ინფორმაციის მაუწყებლის ვებ-გვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

მუხლი 14. ანგარიშვალდებულება

მაუწყებელი, ჩვეულებრივ, წელიწადში ერთხელ, ატარებს თვითრეგულირების სისტემის აუდიტს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველწლიურად "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშთან ერთად წარუდგენს დეტალურ ანგარიშს:

- ა) მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით შესული საჩივრების (სააპელაციო საჩივრების), განცხადებებისა და მათ თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;
- ბ) საჩივრისა და სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადების შესახებ;
- გ) მაუწყებლის თანამშრომელთა მიერ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დარღვევის რაოდენობის, დარღვეული მუხლების, განმეორებითი დარღვევებისა და დარღვევების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით გამოყენებული ზომების შესახებ;
- დ) მაუწყებლის მიერ საკუთარი თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.